უნივერსიტეტი ბუფალოში
ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წამყვანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბუფალოს უნივერსიტეტი (UB) ერთ-ერთი საუკეთესო სახელმწიფო უნივერსიტეტია ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. UB 1846 წელს დაარსდა. ის ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის (SUNY) 64 კამპუსს შორის უდიდესი საუნივერსიტეტო ცენტრია და საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამების ყველაზე სრულყოფილ არჩევანს სთავაზობს დაინტერესებულ პირებს. UB, ასევე, ამერიკული უნივერსიტეტების პრესტიჟული ასოციაციის წევრია და ქვეყანაში ერთ-ერთი პირველია სამეცნიერო კვლევებზე-ორიენტირებულ სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის. მიუხედავად მიღწევებისა, ის ერთ-ერთ ყველაზე ხელმისაწვდომ საჯარო უნივერსიტეტად რჩება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ფაკულტეტები და პროგრამები

UB დაახლოებით 2000 ფაკულტეტს მოიცავს, რომელთა 95 პროცენტი დოქტორანტის ან ექვივალენტ აკადემიურ ხარისხს სთავაზობს დაინტერესებულ პირებს. უნივერსიტეტში 300-მდე საბაკალავრო, სამაგისტრო და დოქტორანტურის პროგრამაა.

ხელოვნებისა და მეცნიერების კოლეჯი	განათლება	მედიცინა	სოციოლოგია
არქიტექტურა და დაგეგმარება	საინჟინრო და გამოყენებითი მეცნიერება	სამართალი	საექთნო საქმე
სტომატოლოგია	საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანმრთელობა	მენეჯმენტი	ფარმაცევტიკა

სტუდენტების მიღება

უნივერსიტეტში 29000 სტუდენტი სწავლობს, მათ შორის 5000 საერთაშორისო სტუდენტია 100-ზე მეტი ქვეყანიდან.

მისაღები მოთხოვნები

საერთაშორისო სტუდენტები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით შეირჩევიან:

1) **აკადემიური მიღწევები და კრედიტები**: აკადემიური მოსწრების ფურცელი
2) **ინგლისური ენის ცოდნა**: უნივერსიტეტი სტანდარტულად მოითხოვს TOEFL-ის ტესტს. ქაღალდზე შესრულებული TOEFL-ის ტესტისთვის მინიმუმ 550 ქულა, ხოლო ინტერნეტით ჩაბარებული ტესტისთვის მინიმუმ 79 ქულა; IELTS-ის ტესტისთვის მინიმუმი ბარიერი 6.5 ქულაა, ამასთან თითოეული ქვეკომპონენტის მინიმუმი ქულა 6.0-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.
იმ ბაკალავრებისთვის, რომლებსაც ინგლისურის სტანდარტიზებულ ტესტში ნაკლები ქულა აქვთ, უნივერსიტეტში პირობითი დაშვების წესი მოქმედებს. ისინი ინგლისურის ენის სავალდებულო კურსს გაივლიან პირველი სემესტრის განმავლობაში. პირობითი დაშვებით სარგებლობა შეუძლიათ იმ სტუდენტებს, რომელბსაც TOEFL-ის ქაღალდზე შესრულებულ ტესტში 523-549 ქულა, ინტერნეტით შესრულებულ ტესტში კი 70-78 ქულა აქვთ; ან 6.0 ქულა მიიღეს IELT-ის ტესტში, სადაც თითოეული ქვეკომპონენტის მინიმუმი ქულა 5.5-ია.
მაგისტრებისთვის ზოგიერთმა დეპარტამენტმა შესაძლოა სტანდარტიზებული ინგლისური ტესტის უფრო მაღალი ქულა მოითხოვოს.
3) **სტანდარტიზებული ტესტი**: სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო, რომ კანდიდატმა SAT I შედეგები წარმოადგინოს; ზოგიერთმა დეპარტამენტმა შესაძლოა GRE ან GMAT გამოცდის ჩაბარება მოითხოვოს მაგისტრებისთვის.
4) **ფინანსური მხარდაჭერა**: ყველა საერთაშორისო კანდიდატმა ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ დოკუმენტი უნდა წარმოადგინოს, სანამ ამერიკაში შემოსასვლელად ან დასარჩენად ლეგიტიმურობის სერტიფიკატს მიიღებს.

განაცხადის მიღების პროცედურა

ბაკალავრიატის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი ნებისმიერ დროს შეიძლება გაიგზავნოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებაში. საშემოდგომო სემესტრისთვის განაცხადების მიღების რეკომენდებული თარიღია თებერვალი, გაზაფხულის სემესტრისთვის კი ოქტომბერი. სამაგისტრო განაცხადები შესაბამის დეპარტამენტში უნდა გაიგზავნოს. მაგისტრატურაში განაცხადის მიღების ბოლო ვადა დეპარტამენტების მიხედვით განსხვავებულია.

საორიენტაციო სესია

სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის. საორიენტაცია სესია 1 კვირის განმავლობაში ტარდება საგაზაფხულო ან საშემოდგომო სემესტრის დაწყების წინ.

აკადემიური კალენდარი

ორ თხუთმეტ-კვირიან სემესტრს მოიცავს (შემოდგომის სემესტრი აგვისტოს ბოლოდან დეკემბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება, საგაზაფხულო სემესტრი კი შუა იანვრიდან მაისის დასაწყისამდე). უნივერსიტეტი სტუდენტებს ასევე სთავაზობს ინტენსიურ სასწავლო პროგრამას ზაფხულის განმავლობაში, მაისიდან აგვისტომდე.

სწავლების ღირებულება (ამერიკულ დოლარში)*

	სწავლება	სხვა მოსაკრებელი/საცხოვრებელი/კვება	სრულად (1 აკადემიური წელი, 9 თვე)
ბაკალავრიატი	$24,180	$19,079	$43,259
მაგისტრატურა	$22,210	$18,435	$40,645

* შეიძლება შეიცვალოს წინასწარი გაფრთხილების გარეშე;
ზემოთ მოცემული სწავლების ღირებულება არ მოიცავს წიგნებისა და პირადი ხარჯებისათვის საჭირო თანხას.

ფინანსური დახმარება

მაგისტრანტებს შეუძლიათ ფულადი სტიპენდიის მოპოვება, ან ნახევარ-განაკვეთზე ასისტენტად მუშაობა. ზოგიერთ შემთხვევაში ასევე შესაძლოა, დეპარტამენტმა სწავლების საფასურისგან გაათავისუფლოს ისინი. სტუდენტების გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც "F" (სტუდენტი) ან "J" (გაცვლითი პრორამის მონაწილე) ვიზას ფლობენ, ნახევარ-განაკვეთზე მუშაობის უფლება აქვთ კამპუსში.
ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი სტიპენდიები შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე buffalo.edu/internationaladmissions/scholarships

ინგლისური ენის შესწავლა

უნივერსიტეტის ინგლისური ენის ინსტიტუტი (ELI) ინგლისური ენის ინტენსიურ კურსებს და პრე-აკადემიურ პროგრამებს სთავაზობს დაინტერესებულ პირებს შემოდგომის, გაზაფხულის და ზაფხულის სემესტრებზე. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:
ტელეფონი: (716) 645-2077 ფაქსი: (716) 645-6198 ფოსტა: elibuffalo@buffalo.edu ვებ-გვერდი: www.buffalo.edu/eli

საცხოვრებელი ფართი

უნივერსიტეტი თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს საერთო საცხოვრებლის ან ბინის ტიპის ფართს სტუდენტებისთვის. იმისათვის, რომ საერთაშორისო სტუდენტმა უნივერსიტეტის კამპუსში იცხოვროს, განაცხადი უნდა შეავსოს და საცხოვრებელი ფართის დაქირავებისთვის საჭირო თანხა გადაიხადოს არაუგვიანეს 1 მაისისა შემოდგომის სემესტრისთვის, ხოლო გაზაფხულის სემესტრისთვის არაუგვიანეს 1 დეკემბრისა: buffalo.edu/campusliving

უნივერსიტეტის კამპუსი

ბუფალოს უნივერსიტეტის კამპუსი ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ინფრასტრუქტურაა, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკლასო ოთახებით, ლაბორატორიებით, ტექნიკითა და ბიბლიოთეკით. ასევეა ქალაქ ამჰერსტის გარეუბანში განთავსებული უნივერსიტეტის ნაწილიც.

სტუდენტური ცხოვრება

UB სტუდენტებს სთავაზობს სპორტულ პროგრამებს, დასასვენებელ და გასართობ ობიექტებს, ლექციებს სხვადასხვა საინტერესო თემაზე, კონცერტებს, ფილმებს და მრავალფეროვან კულტურულ ღონისძიებებს. უნივერსიტეტში 450 სტუდენტური ორგანიზაცია ფუნქციონირებს, რომელთა შორისაც 25-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტების ჯგუფია. UB-ის გუნდი ათლეტური ასოციაციების ეროვნული კოლეგიაში (NCAA) 1-A დივიზიონში თამაშობს და შუა ამერიკის კონფერენციის (MAC) წევრია.

მოსახლეობა

ბუფალო ნიუ-ორკის შტატში სიდიდით მეორე ქალაქია და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე წელიწადის ოთხივე დროის შესაბამისი კლიმატი აქვს. ბუფალო მაცხოვრებლებს ურბანული ცენტრის მოხერხებულობას, ასევე პატარა ქალაქისთვის დამახასიათებელ მეგობრულ და ცოცხალ გარემოს სთავაზობს. იმ საერთაშორისო სტუდენტებისთვის, ვინც ხელმისაწვდომ თანხაში კომფორტულ საცხოვრებელ გარემოს ეძებს, ბუფალო უსაფრთხო და მეგობრული ადგილია.

ადგილდებარეობა

ბუფალო 1 საათის საფრენ მანძილზე მდებარეობს ნიუ იორკიდან, ვაშინგტონიდან, ბოსტონიდან, ფილადელფიასა და ჩიკაგოდან. ქალაქი მდინარე ნიაგარაზე მდებარეობს, კანადის საზღვართან ახლოს. მსოფლიოში ცნობილი ნიაგარას ჩანჩქერი ბუფალოდან მანქანით 20 წუთის სავალ მანძილზეა, კონტინენტის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი და მთავარი კულტურული ცენტრი-ტორონტო კი მხოლოდ საათნახევრის სავალ მანძილზეა დაშორებული.

ბაკალავრებმა ინფორმაციისათვის მიმართეთ:
International Enrollment Management
411 Capen Hall, Buffalo, NY 14260-1604, USA
ტელ: (716) 645-2368
ფაქსი: (716) 645-2528
ფოსტა: intiem@buffalo.edu
საიტის: buffalo.edu/ApplyUB

მაგისტრანტებმა ინფორმაციისთვის მიმართეთ:
The Graduate School
408 Capen Hall, Buffalo, NY 14260, USA
ტელ: (716) 645-3482
ფაქსი: (716) 645-6998
ელ-ფოსტა: grad@buffalo.edu
საიტი: grad.buffalo.edu